ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 25.01.23

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 001/23

შეკითხვა:

იქნება თუ არა ადვოკატის ქცევა ეთიკის ნორმებთან შესაბამისი, თუკი ის კლიენტს მომსახურეობას გაუწევს საქმეზე, სადაც კლიენტის ინტერესები ეხება არასრულწლოვანს, მაშინ როდესაც ადვოკატს არ აქვს არასრულწლოვანთა საქმის წარმოებისთვის საჭირო სპეციალიზაცია და ამ მიზეზით ის ვერ განახორციელებს კლიენტის წარმომადგენლობას სასამართლოში. ამასთან, აღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე, ეკისრება თუ არა ადვოკატს წინასწარ აღებული თანხის დაბრუნების ვალდებულება?

ანალიზი:

კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის, მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი).

„კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის

პროფესიულ სახეს...“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე 057/17, პარ. 5.10).

„მომსახურება კვალიფიციურობის სტანდარტს აკმაყოფილებს თუ დაცულია შემდეგი პირობები: ადვოკატი ახორციელებს მომსახურებას სპეციალიზაციის ფარგლებში; ადვოკატს სტრატეგია შეთანხმებული აქვს კლიენტთან და მოქმედებს მისი კანონიერი/ეთიკური მითითებების ფარგლებში; ადვოკატი ორიენტირებულია კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგიით დაიცვას მისი საუკეთესო ინტერესები და მისი მომსახურება არ არის ფორმალური ხასიათის; ადვოკატის პოზიცია ქმნის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომ მან მიიღო გონივრული ზომები კლიენტის საქმეში გასარკვევად.“ (ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით ეთიკის კომისიის სამუშაო შეხვედრა, ოქმი N04/19).

ეთიკის კომისია განმარტავს, რომ კლიენტისათვის კვალიფიციური მომსახურეობის გაწევა, პირველყოვლისა მოითხოვს ადვოკატის მიერ მომსახურეობის გაწევას სპეციალიზაციის ფარგლებში. კითხვაში აღწერილი ფაქტებით ირკვევა, რომ ადვოკატმა საადვოკატო მომსახურება გაუწია კლიენტს არასრულწლოვანთან დაკავშირებულ საქმეზე, მაშინ როდესაც მას არ ჰქონდა შესაბამისი სპეციალიზაცია. შესაბამისად, ეთიკის კომისიის განმარტებით აღნიშნულ ნაწილში ადვოკატის ქცევა არ შეესაბამება პროფესიული ეთიკის სტანდარტებს. რაც შეეხება, თანხის დაბრუნების ვალდებულებას, ადვოკატს, წინასწარ აღებული ჰონორარიდან, უფლება აქვს გამოქვითოს ის თანხა, რომელიც შესრულებული საქმის პროპორციულია. ამასთან, ადვოკატის მიერ დაბრუნებული თანხა, შესრულებული საქმისა და შესასრულებელი საქმის სრული ღირებულების ადეკვატური გაანგარიშების შედეგი უნდა იყოს და არა ფორმალური ხასიათის ქმედება.

დასკვნა:

კითხვაში აღწერილი ჰიპოთეტური გარემოების თანახმად, ადვოკატის მიერ, სპეციალიზაციის ფარგლებს მიღმა კლიენტისათვის მომსახურეობის გაწევა, არღვევს ადვოკატის პროფესიულ ეთიკას. რაც შეეხება გამოუმუშავებელ ჰონორარს, იმ შემთხვევაში თუ ადვოკატი კლიენტს გონივრული ოდენობით დაუბრუნებს აღებული ჰონორარის ნაწილს, მისი ქცევა პროფესიული ეთიკის ნორმებთან შესაბამისი იქნება.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.